საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1576 2025 წლის 29 სექტემბერი ქ. თბილისი

„მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 21 თებერვლის №332 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 21 თებერვლის №332 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის საფუძველზე, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობების გათვალისწინებით, მათი ფინანსური დახმარების მიზნით, მუნიციპალიტეტებს გამოუყოს არაუმეტეს 47 934 400 (ორმოცდაშვიდი მილიონ ცხრაას ოცდათოთხმეტი ათას ოთხასი) ლარისა, მათ შორის:

ა) ჭიათურის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 10 150 000 (ათი მილიონ ას ორმოცდაათი ათასი) ლარისა;

ბ) ტყიბულის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 3 000 000 (სამი მილიონი) ლარისა;

გ) ბაღდათის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 2 900 000 (ორი მილიონ ცხრაასი ათასი) ლარისა;

დ) ვანის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 2 500 000 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარისა;

ე) თერჯოლის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 2 500 000 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარისა;

ვ) აბაშის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 2 200 000 (ორი მილიონ ორასი ათასი) ლარისა;

ზ) ხონის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 800 000 (ერთი მილიონ რვაასი ათასი) ლარისა;

თ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 800 000 (ერთი მილიონ რვაასი ათასი) ლარისა;

ი) ზუგდიდის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 2 500 000 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარისა;

კ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 400 000 (ერთი მილიონ ოთხასი ათასი) ლარისა;

ლ) ლენტეხის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარისა;

მ) მესტიის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 100 000 (ერთი მილიონ ასი ათასი) ლარისა;

ნ) სენაკის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარისა;

ო) ამბროლაურის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარისა;

პ) ცაგერის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 400 000 (ერთი მილიონ ოთხასი ათასი) ლარისა;

ჟ) გურჯაანის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 400 000 (ერთი მილიონ ოთხასი ათასი) ლარისა;

რ) მარტვილის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 200 000 (ერთი მილიონ ორასი ათასი) ლარისა;

ს) ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 300 000 (ერთი მილიონ სამასი ათასი) ლარისა;

ტ) ონის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 700 000 (შვიდასი ათასი) ლარისა;

უ) ყვარლის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 600 000 (ექვსასი ათასი) ლარისა;

ფ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 200 000 (ერთი მილიონ ორასი ათასი) ლარისა;

ქ) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 500 000 (ხუთასი ათასი) ლარისა;

ღ) ახალციხის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 500 000 (ხუთასი ათასი) ლარისა;

ყ) დუშეთის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 350 000 (სამას ორმოცდაათი ათასი) ლარისა;

შ) ბოლნისის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარისა;

ჩ) ზესტაფონის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 500 000 (ხუთასი ათასი) ლარისა;

ც) ხულოს მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 434 400 (ერთი მილიონ ოთხას ოცდათოთხმეტი ათას ოთხასი) ლარისა.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესრულების მიზნით, დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროგრამული კოდის – „57 04 02 – მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერების“ ასიგნებების გაზრდა 3 800 000 (სამი მილიონ რვაასი ათასი)

ლარით, პროგრამული კოდით – „57 12 – საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი რეფორმების ფინანსური მხარდაჭერით“ გათვალისწინებული ასიგნებების შემცირების ხარჯზე.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**